

რედაქცია: სოლოლაკზე, ზღის ქუჩაზე, ზ. შ.დ ნოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію „Дროზდა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროშა

ყოველ დღე ორგზაბათს გარდა

ფასი განსხვავდება

გზით ასოზე 1 კაპ., მკუთხედისა—1 კაპ., ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწავლოს და შეანჯღეროს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დასაბეჭდად სტატიები, ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

მცხეთოების დღესასწაულის გამო, სამგზაბათს, 2 ღვინოებისთვის, გაზეთი არ გამოვა.

ოთხგზაბათს, 3 ღვინოებისთვის

ძართული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება თიფლისის საზაფხულო თეატრში:

I სამაგელი

ქომელია ორს მოქმედებად, გარდმოკეთებული რუსულიდან

II
ჯერ დაიხმონენ,
მერე დაქორწილდნენ

ქომელია ორს მოქმედებად, გარდმოკეთებული თ. რაფ. შრისთავისაგან.

ანტრაქტში, პირველ პიესის შემდეგ, გაბუნია ქალი იმღერებს ქართულ სიმღერებს.

ბალეტები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, ზოლოვინის პროსპექტზე.

დაწყება 7½ საათზე.

(3—1)

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კატარბურლი, 27 სექტემბრს. გაზეთს „რუსკაია პრადსა“ მოუვიდა მთავრობისაგან მესამე „გაფრთხილება“ და კიდევ დაიხურა ხუთის თვის ვადით.

უჭა, 26 სექტემბრს. დღეს უჭაში დაიწვა 40 სახლი და ჯერ კიდევ მოუთავებელი სახაზინო შენობა ოლქის სასამართლოსა.

მენა, 26 სექტემბრს. ბრატ ანდრისიჩი გამოვიდა სამსახურიდან. იმის მაგივრად, ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრად და სამინისტროს რჩევის თავმჯდომარედ დაინიშნა ბარონ ზაიმერლე.

მენა, 26 სექტემბრს. ავსტრიის რეის-სრატი წარმოთქმულს ტრონის სიტ-

ყვაში, სხვათა შორის მოხსენებულია იმაზედ, რომ ავსტრიაში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს ყველას ერთი-და-იგივე უფლება უნდა ჰქონდეს და ერთმანეთის უფლების პატივი. „ავსტრია არ უღალატებს“, ნათქვამია ბოლოს ტრონის სიტყვაში, თავის ისტორიას და პატიოსან მოვალეობას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთნაირად დაიცვას თავის ხალხებისა და მავრების უფლებანი და კეთილ-დღეობა, და ყველას ერთნაირი თავისუფლება მიანიჭოს.“

სტამბოლი, 26 სექტემბრს. ხონთქარმა ინახულა ამ დღეებში რუსის ელჩი თ. ლობანოვ-როსტოვსკი და აჩუქა იმას ჩინებული არაბის ცხენი თავის საკუთარის საჯინოდამ, სულთან აბდულ-გამიდი თან-და-თან უფრო იახლოვებს თავისთან რუსის ელჩს; ამ სულთანისა და რუსის ელჩის დაახლოვებას აქ დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვს, რომ, სახელმწიფო ხარჯის შესამცირებლად, მოსპოს თავის ელჩების თანამდებობა ყველა სახელმწიფოებში, გარდა ინგლისისა და ავსტრიისა. მღიგზის მაგივრად უცხო ქვეყნის სატახტო ქალაქებში იქნებოდა მხოლოდ ოსმალეთის მმართველობისაგან „დანდობილ პირები“.

ცეცინი, 26 სექტემბრს. რადგან ჩერნოგორიელებს ეშინიათ, რომ, ზუსისა და პლაის დაჭერის დროს, ალბანის ხალხი წინააღმდეგობას გაუწევს იმათ, ამის გამო ისინი საომრად ემზადებიან.

ალლაგაბადი, 26 სექტემბრს. ძაბულიდან არავითარი ახალი ამბავი არ მოსულა; ტულს აქვე ტელეგრაფი ზაიმუშტებმა გააფუტეს.

ლონდონი, 26 სექტემბრს. ღვინოა რომბერტის დეპეშა მოვიდა ხორასიბიდან: ძაბულისაკენ ყველა მხრით ჯარები გაგზავნეთ გზების დასათვლიერებლად. ჩვენ ჯარებს წინ დაუხვდნენ დიდ-ძალი ჯარები მტრისა და ამის გამო იძულებული იყვნენ ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ. ხორასიბსა და ძაბულს შუა მთებზე დიდ-ძალი მტერია დაბანაკებული; ჩვენი ბანაკის გარშემო ზილზის ჯარები გამოჩნდნენ. მაცხარებული ომის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაამარცხა მტერი და განდევნა ის ამ მთებიდან. ჩვენის, ინგლისელების, მხრით

85 კაცია მოკლული და დაჭრილი. 12 ზარბაზანი და 2 ბაირალი წავართეთ მტერს. რადგან ახლო-მახლო აღვიღებში ბევრი ბილხაები არიან, ამიტომ ძლიერი ყარაული-ჯარები არიან გაგზავნილი ყოველის მხრით.

კატარბურლის ბირჟა, 27 სექტემბრს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 94—50
მეორე — — —	— 93—50
მესამესი — — —	— 93—50
მეოთხესი — — —	— 93—62
აღმოსავლეთის პირ.	— 92—
აღმოსავლეთის მეორე	— 92—
აღმოსავლეთის, მესამე	— 91—50
ოქრო, ½ იმპერიალი	— 7—70

თფილ. თავად-აზნ. ბანკის

გირაოს ფურცელი — „—“
შინაგანი 5% სესხის ბილეთები

მან. კაპ.

პირველი სესხის — — 227—
მეორე სესხის — — 222—75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — — 25—37 პენსი
გამბურლი — — 127—25 ცენტი
პარიჟი — — — 268—50 სანტიმი
ვენა — — — 216—50 პფენიგი

ძავეკასიის კერასინი — — —

საქართველო

თ. ი. კ. მუხრანსკის ამხანაგობა.

ჩვენი ქალაქი თან-და-თან ამერიკულ ქალაქს ემსგავსება! მკონი დღე არ გაივლის ისე, რომ ან ერთი ახალი ბანკი, ან რომელიმე კომისიონერის, ვექსილის; თუ ფულის-ასესხებელის კანტორა და სხვა ამ გვარები არ გაჩნდეს. მართის სიტყვით, ისე იბადებიან ამ გვარი სხვადასხვა საფარო და სწარმოვეო კანტორები, ბიუროები, როგორც სოკო წვიმის შემდეგ.

და ყველა ამ კანტორე ს რომ ჰკითხოთ, მართო და მხოლოდ საზოგადოებას სასარგებლოდ, გაჭარბულ ხალხს ხე-



ლის-მოსამართლად იმართებიან, სხვა არავითარის მიზნით. შეეღოს საზოგადო საჭიროების დაკმაყოფილება, ღარიბთა შეწევა, ქვეყნის წარმოებისა და კეთილდღეობის წარმატება აქვთ მხედველობაში, სხვა არაფერი!

როდესაც პირველად გავარდა ხმა, რომ თ. ი. ბ. ბაგრატიონ-მუხრანსკი რალაც დიდ კანტორის გახსნას და დიდ საქმის გამოწყობას აპირებსო, მაშინ გვარწმუნებდნენ, რომ ეს კანტორა სრულიად არ ემსგავსება დანარჩენ ამგვარ ამხანაგობებსა და კანტორებსო; იმის მიზანი მხოლოდ ის არისო, რომ სომხის ვაჭრებისაგან შევიწროებულ ჩვენებურ მწარმოებლებს, სოფლის თავდაზნაურობას და გლეხობას მოუშართოს ხელიო, აღმოუჩინოს ისეთი ადგილი, სადაც ამათ შეეძლოს მოტანა თავიანთ ნაწარმოებისა, მაგალითად ღვინისა, პურისა და სხვ., და ან ნაღდათ გაყიდვა კარგ ფასად და ანუ კამისით დატოვება. ამბობდნენ, რომ თვითონ თ. ი. მუხრანსკი ისეთი მდიდარი კაციოა, რომ კერძო სარგებლობას არ გამოუღდება, ქვეყნის, ქართველობის სასარგებლოდ ზრუნავსო და სხვ. და სხვ.

ბოლოს ველირსეთ ამ ახალი ამხანაგობის დაარსებასაც. შევიტყუეთ, რომ „სავაჭრო სახლი თ. ი. ბ. ბაგრატიონ-მუხრანსკის და ძამანისა“ გაიხსნა; რომ ამ ამხანაგობის თავი არის თ. ი. მუხრანსკი, რომ ამხანაგობას ძირის-ფუძვლად უნდა ექნეს 300,000 მან. და სხვ.

ბევრი რამ ისეთიც შევიტყუეთ თვითონ ამ ამხანაგობის წესდებიდან, რომ

მელსაც ცოტა არ იყოს ეჭვში შევყავართ, რომელიც გვარწმუნებს, რომ ამხანაგობა მართლა-და ქართველობის გასაკეთებლად და ჩვენი წარმოების წარსამატებლად არ ყოფილა დაარსებული.

შევიტყუეთ, მაგალითად, რომ თ. ი. ბ. ბაგრატიონ-მუხრანსკი ერთი ამხანაგობის რიგში უფრო ამაღლია ამ ამხანაგობისა, არამედ ამხანაგობის ბატონი და პატრონი, დედა-ბოძი, რომელზედაც ყველაფერი დამოკიდებულია, რომლის ნებაზედ ჰკიდია, ახალი წევრების მიღება, ძველების გამოგდება, რომელიმე საქმის დაწყება და მოსპობაც, თვითონ ამხანაგობის სიცოცხლეცა და სიკვდილიც, ერთის სიტყვით, ყველაფერი.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია; ამაზე უფრო ცხადია ამხანაგობის ხასიათს შემდეგი გარემოება გამოგვიჩვენებს:

ამხანაგობას, სხვათა შორის, უფლება აქვს თავის წესდებითა, რომ ფული გაასესხოს. ამ შემთხვევაში ამხანაგობა, ვეჭვლასა და თავდებებს გარდა, მოსთხოვს სესხის აძლევს კიდევ ნეუსტრაიკის პირობას, რომელშიაც შემდეგი სიტყვებია მოხსენებული:

„თუ ვინცინობა, თავის დროზე ვერ შემოვიტანეთ ფული და საქმე სასამართლომდინ მიადწევს, ამ შემთხვევაში თ. ი. ბ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სავაჭრო სახლს“ (ამხანაგობა) ანუ სხვას იმის მოადგილეს, ვისაც ჩვენი ვექსილი ექნება, უფლება აქვს ვექსილში მოხსენებოლი ჩვენი ვალი ერთი-ორათ გარდა ავტომატურად და ამას გარ-

და, რაც აღრე ამ ვექსილით ვინის ნაწილი გარდავიხდია, ის მხედველობაში არ მიიღება.

ზაიგეთ ეს სიტყვები, თუ არა? თუ არა, აი ავიხსნით:

ამხანაგობამ გასესხათ თქვენ, ეთქვათ, ასი თუმანი იმ პირობით, რომ მუდამ თვეში ათი თუმანი გარდახდეთ ამ ვალიდან. (სარგებელს ვალისას ამხანაგობის ძანტორა იმ თავითვე გახდევინებთ წინათვე, ისე, როგორც ბარუჩოვის ძანტორა!). მსოქვით ახლა რომ თქვენ, ვალის აძლევს, ცხრა თვის განმავლობაში მუდამ თვე-და-თვე თავის დროზე შეგაკეთ ძანტორაში ათ-ათი თუმანი და ამანირად ვალიდან ოთხმოც-და-ათი თუმანი გარდახდით ვექსით. მაგრამ მეთვთვეზე გაწყრა ღმერთი და სამი დღე გარდავიღეთ. ამ შემთხვევაში თ. ი. ბ. მუხრანსკის ამხანაგობას სრული უფლება აქვს, (თქვენგან მიცემული ნეუსტრაიკის პირობა და ვექსილი აძლევს ამ უფლებას), რომ გარდაკადევინოთ თქვენ: ა) ასი თუმანი, რომელიც ვექსილით ავიღეთ, ბ) კიდევ ერთი აძლენი, ე. ი. ასი თუმანი, გ) ათის თავი მთელი იმ ვალისა, რომელსაც გედავება თქვენ ამხანაგობა და დ) ამას გარდა ყველა ხარჯი, რაც სასამართლოში მოსვლია! სულ რომ გამოვიანგარიშოთ, გამოვა უკანასკნელი ორას-ოც-და-ათი თუმანი მაინც!

ამანირად იმ ათ თუმანში, რომელიც თქვენ უკანასკნელ თვეში ვერ შეიტანეთ, გხდებთ ორას-ოც-და-ათი თუმანადინ! ბეყოფათ, თუ არა!

ფალტონი

პირველი სიუჟარული.

(ნათარგმნი მოთხრობა)

I.

მაისის მშვენიერი დღეა. მს არის, მზემ ამოაწათა და თავისი ძლიერი შუქი მოფინა მთელს არე-მარეს. წუხანდელი წვრილი წვიმისაგან დედამიწა დანამუშვია და ბალახებზედ და ბუჩქებზედ ათასობით დასკუბებულიან ალმასის მსგავსი ნამები, რომელნიც მზის სხივზედ სასიამოვნოთ მოკამკამებენ. ხანდისხან გრილი ნიავი ამოუბერავს ხოლმე და მაშინ ფოთლები შრიალბენ, ვითარცა ძვირფასად მორთული ქალის ტანთსაცმელი მცირე მოძრაობის დროს, და ნამები ფოთლებიდან, ვითარცა საფანტი, სცივნიან დედამიწაზედ! ათას ფეროვანი ყვავილები სხვა და სხვა მცენარეებისა ამკობენ ბაღის გარემოს! აი, აქ წყარო მოხრიალებს, დაუღალავათ მოხტის და იმეორებს ერთისა იმავე ხმით ჩხრიალს! ბულები რიგ-რიგით აქა—იქ უკიდებენ ნაზის ხმით გალობას, თითქო ერთი მეორეს ეჯიბრებო, და იმათი სტვენა-რაც-

რაკი სალამურივი თგაისმის შორი-ახლოს!

როგორც მსუნაგი ბავშვი ტკბილ საქმელებს და ხილს, დაფაციცებული შეეცქერივარ ბაღში ყველაფერს, თითქო მსურს ერთი რაიმე მომეწონოს და ავიჩიო მეთქი. შევლაფერი მშვენიერება, მაგრამ ჩემს გულს არა ეკარება-რა, მე სულ სხვა რაიმეს ვეძებ და შევსცქერივარ:

მე აქ ველი ერთ მთვარეს, რომელიც ყოველ ამ დროს მოციმციმდება ხოლმე ამ ბაღში და თავის საკვირველი სიტუფით და სხივ-მომფინარე შუქით ამშვენებს მშვენიერ ბაღს, რომელიც უამისოთ გავფრავებულ უდაბნოთ მიმანია! მე ვუჭვრეტ იმას, იმ მშვენიერებას, რომელსაც მეგვნიას ეძახიან და რომელიც ეს რამოდენიმე დღეა ჩემი ფიქრისა და გონების საგნათ გახდა!

ბევრი კარგი მეგვნიები გინახავს თქვენ, მაგრამ ჩემი მეგვნიასთანა ტყუილია! მს ღმერთაა ყველა მეგვნიებისა!


ის უმეტეს ნაწილად ამ ბაღში ატარებს დროებას. მეც იმის საჭერტლად ამოვიჩიე აქ ერთი მაყელის ჯაგი, რომელშიაც შევიძვრები ხოლმე დილითვე, დაეჯდები და ვუცდი, ვუყურებ სულ-გაკმენდილი: ჩემი გული ხელით მიჭერია ხოლმე, რომ იმისმა დაუცხომელმა კვარამ არ გამოამჟღავნოს ჩემი აქ ქურ-

დული ყოფნა. ღმერთო ჩემო, რამდენი ტანჯვა გამომივიღია ამ ჯაგში! წყეული ეკლები ნემსებივით მერტობდნენ სხეულში, მაგრამ მე ვერ ვებედავდი განძრევას ეკლების მოსაშორებლად და ჩემი მთვარის დასანახად!

II

მე მტანჯავდა და არ მათვენებდა ის გარემოება, რომ მეგვნიას იცნობდა და ეკურგებოდა ერთი ვაჟი, სახელად სტეფანე, მასწავლებელი. მე კარგათ გავიგონე ბუჩქიდან, როგორ სტეფანე ელაპარაკებოდა მეგვნიას; როგორ ორივენი მზიარულად იცინიან, კასკასებენ, და მთისას და ბარისას ტიტინებენ; დავინახე, რომ ისინი ერთად, ძრიელ ახლო-ახლოს ისხდნენ, ხუმრობდნენ, ჰგლეჯდნენ ერთმანერთს ხელიდან ყვავილებს, ბალახებს, ფოთლებს, და—ოჰ საშინელებად!—როგორც სოდომ-ზომორის დაქცევის დროს ჭეჭა-ქუხილის ხმა, მომასმა ერთხელ იმათი ხანგრძლივი კოცნა!

ღვთაუკეთილთა, ყურებში თითები დავიცე და ასე ვიჯექი, სანამ ჩემი ვარსკვლავი და ის მასწავლებელი ბალიდამ არ გავიდნენ! მიგრძნე, რომ საჭიროა, აუცილებლად საჭიროა მოვეუწოდო მწედ ჩემს სწავლას, კოდნას, ჩემს გამოცდილებას, ოთხი წლის ფილოსოფიას, რომ



მართალია, გარდახედვინების შემდეგ ამხანაგობა ისევ გიბრუნებთ რაც იმის ვალს, ე. ი. ათ თუმანს, გარდაემეტება; მაგრამ რაღა დროს! მინ იცის რამდენი ზარალი და უსიამოვნება მოგადგებათ ამ მომეტებულის ორას-ოცის თუმნის გარდახდაში..

ჩვენის აზრით, დიდ სიკეთესა და სარგებლობას, წარმოების წარმატებასა და აღებ-მიცემის გაადვილებას არ უნდა მოელოდეს ჩვენი ქვეყანა, ქართველობა იმ ამხანაგობისაგან, რომელსაც ამ გვარი წესები აქვს..

ს. მ.

დღიური

* * * იმ შეტაკების დროს, რომელიც გასული აგვისტოს 28-ს ჰქონიათ ჩვენ მოწინავე ჯარებს ახალ-ტყეველებთან, ჩვენის მხრით, დაჭრილი არიან შემდეგი ჩვენი ქვეყნის აფიცრები: შტ.-კაპ. ჩიკოიძე, პოდპორუჩიკები: ტიკნაძე და არდიშვილი, პარუჩიკი ბაიბაძე და პრაპ. მარდანიშვილი.

* * * რუსულის გაზეთებში ბევრს ლაპარაკობენ ამ ქაშად შავი და ძასპიის ზღვის წყლით შეერთებაზედ. ამ ზღვების შესაერთებლად ორი პროექტი არის წარმოდგენილი, ერთი ინჟინერის და ნილოვისაგან და მეორე პოლკოვნიკის-ლიუბისაგან.

შევეტიყო იმათი შემწეობით, თუ როგორ უნდა მოვიქცე ამის შემდეგ!

ღრმად ჩაფიქრებული წაველ ერთ ხეივანში და მივეცი თავი ფიქრებს! ამ ჩემმა ფიქრებმა და მოსაზრებამ დამარწმუნა, რომ სტეფანეს უეჭველად სურს ისარგებლოს ამ ქალის უმანკოებით და დაღუპოს სამუდამოთ იმის ახალგაზდობა! შევლაფერი ისე ცხადი და დამტკიცებული იყო, რომ ჩემში არავითარიღა ეჭვი არ მოპოვებოდა.

ღრმად ამოვიოხრე და წამოველ. გზაში შემხვდა სტეფანე. სისხლი მომაწვა თავში. ბუღმა ძვერა დამიწყო. ხელები და ფეხები დამისუსტნენ, თითქო დაბლა მაივინდაო!.. ამ დრომდღე მე მხოლოდ სტუდენტის მოვალეობას ვასრულებდი, ახლა კი პირველად მოქალაქის მოვალეობაც უნდა ავასრულო!

— მოწყალეო ხელმწიფე! შევეყირე სტეფანეს, რომელმანც დამინახა, მაგრამ თვალს მარიდებდა.

— აა! ბატონო ივანე, აქ ჰყოფილხართ? როგორ მშვიდობით? რატო ეგრე გაფითრებულხართ? მომიგო იმან და გამომიწოდა ხელი.

— ღაჯეკით! მე თქვენთან საქმე მაქვს, ე. ი. მე თქვენ უნდა ავიხსნათ ერთი რაიმე, უნდა მოგელაპარაკოთ! მუთხარი ცივთ.

— შეკაცრავად, რომ არა მცალიან.

* * * ბორის მაზრის სოფელ აძვიდამ გეწერენ, რომ იქაურ მამასახლისისაგან მთელი სამი სოფელი შეწუხებული არის, მაგრამ კაცი ყურის მგდებელი არ ამოგვიჩნდაო. ამ მამასახლისის ამ წლი-ნახევრის წინეთ ერთი გლეხი მოუკლავს კეტით, მილიციონერებს რომ აგროვებდნენ, ქრთამით გაივსოვო, სახელმწიფო ცხენები რომ დაგვირიგეს, ყველაზე უფრო თვითონ ისარგებლაო, ამის, შარიანიშინის და არხის მცხოვრებლებში კომლზე თითო ჩანახი პური მოკრიბა, არ ვიცით რათაო, შკოლის პური ერთი წილი მასწავლებელს ჩააბარა, ორი თვითონ წაიღოვო და სხვ. და ამ საქმეების ჩამდენი დღესაც ბატონობს ჩვენზედო.

„დროშის“ კორესპონდენცია

რაჭიშვან, 18 სექტემბერს. მოგესხნებათ, რომ პირველად რაჭის უფლებში, სოფლის ხვანჭკარის საზოგადოებამ გახსნა გამსესხებელ-შემწახველი ამხანაგობა; გეხსოვებათ ისიც, თუ რომელი პირების საშუალებით და მეცადინეობით დაარსდა ჩვენს საზოგადოებაში ეს ხალხისათვის ძალიან ხელის მომწყობი საქმე, რადგან თქვენს გაზეთში ის პირები უკვე გამოცხადებულნი იყვნენ.

ორიოდე სიტყვა უნდა გითხრათ იმაზე—თუ ესლა რა მდგომარეობაშია ჩვენი ამხანაგობის საქმე.

ამ 1879-ს წლის დასაწყისში მოხდა, წესდებულებისამებრ, საზოგადო კრება

— ღაჯეკით-მეთქი! აქ ისეთი საქმეებია, რომ თქვენს გაკვეთილებზედ ათას წილათ უფრო საჭირო და სამძიმოები! სტეპანე დაჯდა.

— მე სტუდენტი ვარ, მაგრამ ამასთან მოქალაქეც! ღვიწყე ტკპნით: და ამისთვის მოთმენა არ შემიძლია, რომ ჩემ თვალ წინ ჰხდებოდეს გარყვნა კეთილის ზნისა, რომელიც არის პირველი საფუძველი საზოგადო კეთილდღეობისა.

— შეკაცრავად, მე თქვენი არა მესმის-რა!

— თქვენ მე ვერ მომატყუილებთ, იცოდეთ! მე ცხოვრებას კარგათ ვიცნობ.. მე ყველაფერი ვიცი და მართალი სიტყვით,—თქვენ გინდათ მეგენიას დაღუპვა?!

— მეე? შემომყვირა და წამოხტა სკამიდან.

— ღიხ, თქვენ, მოწყალეო ხელმწიფე! მიეუგე დინჯათ და გული ცოტათ დამიმშვიდდა; ჩემს თავს ბედნიერათ ვხდიდი ამ წამში, რომ პატიოსანი კაცის წმინდა მოვალეობას ვასრულებდი:—მე ყველაფერი ვიცი და უნდა გითხრათ, რომ მსურს ის ქალი ჩემს მფარველობის ქვეშ მივიღო.

— რა გინდათ ჰქმნათ?! აღუფოთებით მკითხა სტეფანემ.

— მე... ის მე ვიცი, რაც უნდა ექნა! მიეუგე, რადგანაც არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.

განხილათ მთელი წასრულის წლის შემოსავალ-გასავლის პანჯარში—და დამტკიცებინათ. პრებმა შეაჩვენეს ქრტივის თავსმჯდომარისაგან წაკითხული ანგარიშები და დაამტკიცა.

მეორე მოვალეობა კრებისა იყო ის, რომ უნდა ამოერჩია ორი წევრი რჩევისა; მოგესხნებათ, წესდება თხოულობს, რომ ყოველის წლის დასასრულში ორი წევრი რჩევისა გამოვიდნენ, პირველი წილის-ყრით და მეორე ის, რომელიც უწინ არჩეულია. კრებას ამ ორი პირის არჩევა ქონდა მხედველობაში, მაგრამ უნდა წარმოიდგინო მისი გაკვირვება, როდესაც ორის მაგიერ ხუთის არჩევა დასჭირდა! თავსმჯდომარემ ორი წევრითურთ და გამგებლობის წევრებმა, გარდა თ. კ. შ—სა, თავის თანამდებობა მიატოვეს მიუხედელოდ წესდებულებისა.

პრება ყველაზე უფრო გააკვირვა თავსმჯდომარის ისე მოულოდნელად გამოსვლამ, რადგან ეს უფალი პატროსანი სიტყვით არწმუნებდა იმ დღემდის ყველას, რომ, სანამ აქ ვიქნები, მანამ ამ ამხანაგობის საქმეებს მე ვაკეთებო და არც გამოვაო ჩემი თანამდებობიდანო. იქონიეთ მხედველობაში, რომ აქ ამ უფალს ნასწავლ კაცს უწოდებენ... რამ აიძულათ? რისთვის? რა მიზეზისათვის გამოვიდნენ—ჯერ არავინ იცის.

რაც იყო, იყო, საქმე კი ისე წავიდა, რომ კრება იძულებული შეიქნა დანარჩენი სამი წევრისთვის მიემატება სამი ახალი, და ამ ნაირათ შეედგინა ნახევარი ძველი და ნახევარი ახლისაგან

ბაკვეთილებზედ მივეჩქარები! მითხრა იმან და ამხედ-დამხედა თავით-ფეხებამდე.

— მაინც, მითხარით, ამისხნით, გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ!

— მე უნდა ვაცნობო მეგენიას დედას ყველაფერი, რის მნახველი და მოწამეცა ვარ! როგორ ეკურკურებით იმას და... როგორ ჰკოცნით ერთმანერთს!

— ივანე! ნუ იქო, გეთაყვა, მაგ საქმეს! თუ ღმერთი გწამთ! ბეფიცებით, რომ მართლა მიყვარს და იმასაც უყვარვარ!

— სტყუებით! თქვენ რყენით უმანკო, უბიწო ქალს, რომელსაც თქვენ არ უყვარხართ, და რომელსაც თქვენი სიყვარული არა აქვს!


— მე ის ამ მოკლე ხანში უნდა შევიტოო!...

— რატომ ეხლავე არა, ამ საათში არ ირთავ?

— მე ვუცდი მხოლოდ ჩემს დამტკიცებას სამსახურში; იმ დრომდისინ კი ნებას არ მაძლევს იმისი დედა ჯვარის დაწერისას!

— სტყუებით! სტყუებით!

(ზაგრძელება)



Дозволено цензурою. Тифлиси, 25 Сентября 1879 г. Типографія Меликова. შანტყ. ს. შმღ (შიშვილი, ჟგ. ს. შმსნი.